

კრიზისი დაძლევულია!

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 15 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 4:1 (1:0).

"დინამო": გოგია, ძოძუაშვილი (ხიბანიშვილი), ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

"დნეპრი": კოლტუნი, პილიპჩიკი, ნაიდა, გოლიკოვი, ბოგდანოვი, ტომახი, შეიიდერმანი, სოლოვიოვი (სამოილენკო), რომანიუკი, იაკოვლევი, მალკო.

მსაჯი: ა. ბალაიანი (ბაქო).

დიახ, სიამოვნებით, კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავთ უტყუარ და რეალურ ფაქტს: თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა თავი დააღწია ხანგრძლივ, მძიმე კრიზისს და იბრუნებს საბრძოლო ფორმას, იმ მაღალ სპორტულ ავტორიტეტს, რომელიც მას ათეული წლების მანძილზე ჰქონდა დიდი ფეხბურთის სარბიელზე, თობიდან თაობამდე.

ლაპარაკია არა იმ კონკრეტულ წარმატებებზე, რომლებიც ჩვენს გუნდს აქვს მოპოვებული მიმდინარე ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში, არამედ თამაშის ხარისხზე, კლასზე, მომავლის პერსპექტივებზე, შემადგენლობის ავტორგიანობაზე, დუბლიორთა გამარჯვებებზე. ყველაფერი ეს ერთ კომპლექსში აღებული უფლებას გვაძლევს დარწმუნებით ვთქვათ: კრიზისი დაძლევულია, თბილისის "დინამო" კვლავ თავის კანონიერ, ძველისძველ ადგილზეა უძლიერესთა რიგებში. ყველა პრობლემა, რა თქმა უნდა, ჟერ არაა გადაჭრილი, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ მთავარი, მაგისტრალური ამბები ძირითადად მოგვარებულია.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ამ პერიოდისთვის თბილისის "დინამო" ჩემპიონატის ცხრილში აუტსაიდერთა შორის იყო, ზოგჯერ – ბოლო ადგილზეც და საქმე აბსურდამდე – უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნამდეც კი მიღიოდა, ხოლო ახლა საპრიზო ადგილისა და სპეციალური პრიზების მოპოვებაზეა ლაპარაკი. არც თასის გათამაშების ნახევართინალში გასვლაა ხელწამოსაკრავი ამბავი. ყველაფერს ამას დინამოელებმა მიაღწიეს განახლებული, პროგრესული, თანამედროვე ფეხბურთის პრინციპებზე აგებული, ძლიერი თამაშით. უკვე სეზონის დასაწყისში აღნიშნავდნენ ცნობლი სპეციალისტები, მიმომხილველები, რომ "დინამოს" თამაში საფუძვლიანად გარდაიქმნა და დაიხვენა. ეს გუნდის ახალი ხელმძღვანელობის, პირველ ყოვლისა მისი უფროსი მწვრთნელის 6. ახალგაცის ფასდაუდებელი დამსახურებაა, საქმისადმი უნარიანი, პროფესიული დამოკიდებულების ლოგიკური ნაყოფი. მწვრთნელებმა, უდავოდ, დიდი მუშაობა გასწიეს, რომლის შედეგიც თვალნათლივ ჩანს.

როცა 38-ე ჩემპიონატი დაიწყო, სარეცენზიო წერილებში ყველა ერთხმად უსვამდა ხაზს ახალგაზრდობის დიდ ღვაწლს გუნდის წარმატებებში. ვინ არიან ისინი? შეგახსენებთ მათს გვარებს: მუჯირი, ხიბანიშვილი, ჩივაძე, დარასელია, ჩელებაძე, რომელთა თამაში დღითი დღე, მატჩიდან მატჩამდე ძლიერდება, სულ უფრო კვალიფიციური ხდება, ჩამოყალიბებულ ფორმებს ღებულობს, ზოგიერთმა მათგანმა კი უკვე პოვა აღიარება დიდი მასშტაბით. მათი ენერგია და მონაცემება შესაფერის

მხარდაჭერას პოულობს ცნობილი ოსტატების მხრიდან. გამოცდილებისა და ახალგაზრდობისა ამ ნაერთმა "დინამო" კვლავ მრისხანე ძალად აქცია.

ცალკეული მოთამაშეების თვისებებისა და ღირსებათა დახასიათებას აქ არ შევუდგებით მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა საგანგებოდ გამოვყოთ თამაშის ის პრინციპულად ახალი, მოწინავე მეთოდები, რომლებსაც დღეს მიმართავენ დინამოელები.

ესაა კოლექტივიზმი – ის, რაც ასე აკლდა გუნდს ბოლო წლების მანძილზე! ვინ მოთვლის რამდენჯერ გვითქვამს საყვედური დინამოელებისთვის უსარგებლოდ ზედმეტი ინდივიდუალიზმის გამო, როცა ფეხბურთელები დაურიდებლად არღვევდნენ სათამაშო დისციპლინას, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე ატარებდა ბურთს და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პარტნიორების გადაადგილებას, ტაქტიკური რაციონალიზმის, ელემენტარული ურთიერთმოქმედების კანონების დაცვას. შეა მინდვრის უნაყოფო ტკეპნის "ტაქტიკა" წარსულს ჩაპბარდა. თავიანთს ინდივიდუალურ ოსტატობას, პირად უნარს თბილისელები ახლა საერთო გეგმას და გუნდის ინტერესებს ახმარენ, ღია პოზიციაში მყოფი მოთამაშე დაუყოვნებელი გადაცემის აბიექტად იქცა. ფეხბურთელები სწრაფად იხსნებიან და გადაცემას მათ არ უგვიანებენ.

დიდი ფეხბურთი მაყურებლისთვის არსებობს. ტრიბუნაზე მსხდომთა რაოდენობა და განწყობილება უტყუარი ბარომეტრია იმისა, თუ როგორ თამაშობს გუნდი, რით ახარებს თავის გულშემატკივარს, რას უჩვენებს ახალს. ჩვენი მაყურებელი კი სტადიონიდან ყოველი მატჩის შემდეგ კმაყოფილი, ნასიამოვნები ბრუნდება შინ. ეს დიდი ამბავია.

38-ე ჩემპიონატის ფინიშს ბევრი აღარაფერი აკლია. თბილისის "დინამოს" კარგი პერსპექტივები აქვს: არის შანსი დავიკავოთ საპრიზო ადგილი, მოვიპოვოთ დუბლიორთა გამარჯვებისთვის, დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩისთვის, ყველაზე შედეგიანი გუნდისთვის დაწესებული პრიზები. საამისოდ "დინამოს" კვლავ ძალთა დაუზოგავად მოუხდება ბრძოლა.

დაბოლოს, ისლა დაგვრჩენია, რომ მოგაწოდოთ "დნეპრთან" ჩატარებული მატჩის "სტენოგრაფიული" ჩანაწერი: მე-3 წუთზე გოგიამ ბრწყივნალედ აიღო იაკოვლევის მიერ ახლოდან თავით დარტყმული უძნელესი ბურთი, მე-14 წუთზე ყიფიანმა თავით ბადეში შეაგდო გუცაევის დარტყმის შემდეგ ძელიდან უკუგდებული ბურთი, 56-ე წუთზე მალკო მოულოდნელად გაექცა დინამოელთა სტოპერებს და გაქვითა გოლი, ხოლო შემდეგ, ბევრი გამოუყენებელი მომენტის მერე, მ. მაჩაიძემ (65-ე წუთი), ყიფიანმა (74) და გუცაევმა (88) დააგვირგვინეს თავიანთი გუნდის დიდი ანგარიშით გამარჯვების საქმე.

ბ. ქორქია.

"ლელო", 17 ივნისი, 1976 წ.